# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი · სამშაბათი, 2 ენკენისთვე 1919 წ. № 188 · ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. წინსართ განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართ. გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

„Апкер"

დღეს, სამშაბათს, ენკენისთვის 2-ს ნაჩვენები იქნება ჩვენს ეკრანზე ჯერ თბილისში არ ნახული საუკეთესო იტალიური კინო-დრამა

## ცეცხლ ბურანში

დრამა 5 აქტად—პროლოგით

მთავარ როლში იტალიის სახელგანთქმული მსახიობი ქალი **ლედა გიზზი**

ინსცენიროვკა ალბერტ შოუს მოთხრობისა „კოშკის ბურანში"

კინო-თეატრი. რუსთაველის პროსპ. № 21.
პირველი ს. 6 ის დას. წუთ. სალ. საათზე.

მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### ქნ. იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა

რასაც აუწყებენ თ-დი ზაალ დავითის ძე და ალექსანდრე სიმონის ასული ბარათაშვილები—შვილებით, ეკატერინე დავითის ასული და ნიკოლოზ ივანეს ძე სულხანიშვილები ვაჟით, ნინო დავითის ასული და ტიტე სიმონის ძე ქიქოძენი შვილებით, ქნ. ანასტასია დავითის ასული და თ-დი გიორგი ივანეს ძე ჯანდიერები ვაჟით, როდამ დავითის ასული ბაგრატიონ დავითაშვილისა და თ-დი ილია ნიკოლოზის ძე ავალიშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე განსვენებულის ბინაზე, მამადავითის შესახვევი № 12, ს ღამის 6 საათზე. გამოსვენება სამშაბათს დილის 9 ნახ. საათზე ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა მამადავითის ეკლესიის გალავანში.

(2—2080—2)

ალექსანდრე, ნიკოლოზ და ვახტანგი იოსების ძე აბაშიძენი, სოფიო იოსების ასული და ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანები და ნინო ... ძე ყორდანია აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ—პირველის ძვირფას დედის, მეორის სიდედრის და უკანასკნელის მეუღლის

### ეფემია (პეპო) ვახტანგის ასულის აბაშიძე-ყორდანიას

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, ენკენისთვის 2-ს დილის 9 საათზე განსვენებულის ბინიდან (ნიკოლოზის ქ. № 70) დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში.

1—2078—1.

გულით დაწანჯულნი ნესტორ გაბრიელის ძე და მეუღლე მისი ავგუსტა გენრიხის ასული გვამიჩავა შვილებით, ზესა გიორგის ასული გვამიჩავა აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის თავიანთ შვილის და უკანასკნელის საყვარელ შვილიშვილის

### გიორგი (ყორა) გვამიჩავასი.

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, გამოსვენება ორშაბათს 3 ენკენისთვეს ბინიდან (მიხეილის ქუჩა 114) დილის 9 საათზე ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე. დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

(2—2083—1)

თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზიაში არსებულ ბარათაშვილის სახელობის წრის გამგეობა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 29 მარიამობისთვეს, სოფ. ხაშმში გარდაიცვალა ხსენებული წრის წევრი, მერვე კლასის მოწაფე

### ივანე (ვანო) ნახუცრიშვილი

დაკრძალვა 2 ენკენისთვეს, სოფ. ხაშმში.

(1—2084—1)

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ქეთევან თედორეს ასული შვილებით: გიორგი და კონსტანტინე, ძმა მღვდელი ბესარიონ და რძალი ალათი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და განსვენებულის ამხანაგ-მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას უძვირფასესის და საყვარელი

### ექიმ ექვთიმე სვიმონის ძე ვაშაკიძისას.

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (ბაქოს ქ. № 12) სამშაბათს, 2 ენკენისთვეს, ნაშუადღევის პირველ საათზე წასასვენებლად სამშობლო სოფელ დიდ-ჯიხაიში. დაკრძალვა ენკენისთვის 3-ს საღამოს 4 საათზე დიდი ჯიხაიშის ქაშვეთის ეკლესიის გალავანში.

1—6—1

თბილისის ვაჟთა მე-5 გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას გარდაცვალებას თანამოსამსახურისა

### ექიმ ექვთიმე სიმონის ძე ვაშაკიძისა

გამოსვენება დ. წინწყლის სამშაბათს 2-ს ენკენისთვეს 1 საათზე საკუთარ ბინიდან ბაქოს ქუჩ. 12 ვაგზალზე სოფელ ჯიხაიშში წასასვენებლად.

1—1006—1

**გორში** სამშაბათს, 2 ენკენისთვეს იმართება

## დიდი საღამო-სეირნობა

საღამოში მონაწილეობას იღებენ: მომღერალი დავ. აკოფაშვილი, სახელმწიფო თეატრის მოცეკვავენი: ქ-ნი ლინევიჩ და ბ-ნი ლინევიჩ

პოეტები: **პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ლელი ჯაფარიძე**

სეირნობა მოწყობილი იქნება

მრავალ გასართობებით

სურათები, სარკეები, ქართული აუქციონი, ლოტერია, ამერიკული ცხენები, ყვავილები, ინგლისური საჩუქრები, ლექსები, ექსპრომენტები, სამხედრო მუსიკა ს ა ზ ა ნ დ ა რ ი. ლოტერია-ალეგრით იქნება საღამოს 5 საათზე იმღერებს მომღერალი ქალი ელ. აბაშიძე.

### 3 ხმაში ქეიფი დილამდე

## განცხადება.

რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო-საზოგ. დოების ზედამხედველი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 15 ენკენისთვეს, საზოგადოების შენობაში (კიროჩნის ქ.) დილის 10 საათზე დანიშნულია საზოგადოების რწმუნებულთა

### საგანგებო კრება

კრებას უნდა დაესწრნენ ყველა ის რწმუნებულები, რომელნიც უკვე იყვნენ პირველ კრებაზე ამ წლის აპრილის 15-ს, აგრეთვე ის რწმუნებულებიც, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაესწრნენ პირველ კრებას.

განსახილველია შემდეგი საგნები.

1. სარევიზიო კომისიის მოხსენება წარსული წლის ანგარიშების შესახებ.
2. მოხსენება გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტისა საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და მისი დან ჩაბარებისა.
3. წევრების არჩევა.

2—170—1

წევრთა საყურადღებოდ

კოოპერატივ „დახმარებამ" მიიღო მთიულეთის **საუკეთესო ერბო**

იყიდება ორივე მაღაზიაში

## ბატონი ჰასკელი აზერბაიჯანში

სომხეთიდან ამერიკის უმაღლესი კომისარი ბატონი ჰასკელი აზერბაიჯანში გადავიდა ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ-ტერიტორიალურ საკითხების ადგილობრივ გასაცნობად. ყველას ახსოვს ბ. ჰასკელის სიტყვა სომხეთის პარლამენტში წარმოთქმული სომხურივე გაზეთების გადმოცემით. ჩვენ თავიდანვე ეჭვი დაგვებადა პასუხისმგებელ რწმუნებულის განცხადების სწორ გადმოცემაში! ვერ წარმოგვედგინა, რომ ამერიკის პოლიტიკური წარმომადგენელი იმ გადახლართულ საკითხების გამოურკვეველად და შეუმოწმებლად, რომელნიც ორი წლიწადია მყუდროებას არღვევენ კავკასიონის საზღვრებში, სომხეთის პარლამენტში ცალმხრივ დეკლარაციით დაკმაყოფილდებოდა და სრულებით უგულებელჰყოფდა ამიერ-კავკასიის დანარჩენ სახელმწიფოების ინტერესებს. პოლკოვნიკ ჰასკელის აზერბაიჯანში ჩასვლამ ბევრი რამ ცხადჰყო და ნათელით შემოსა ისეთი ფაქტები, რომელნიც სომხურ პრესის გადმოცემით ბუნდით იყვნენ მოფენილნი. ალბად უმაღლესი კომისარი თვით გრძნობდა, რომ მისი ყალბად გადათარგმნილი განცხადება სომხეთის პარლამენტში გაუგებრობას გამოიწვევდა ქართველთ-აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში, ამიტომ მისი პირველი მიმართვა აზერბაიჯანის მთავრობის თავმჯდომარისადმი იყო დაჟინებითი თხოვნა: არ მიიღოთ ის სომხების ვექილად, რადგანაც—განაცხადა პოლკოვნიკმა—„მე თანაბრად ვეკუთვნი ყველა რესპუბლიკებს ამიერ-კავკასიაში. ჩემი მიზანია—ავაცილო ერთაშორის შეტაკება ამიერ-კავკასიაში".

ბატონ ჰასკელის განცხადების დეტალებიდან ირკვევა, რომ აზერბაიჯანი უსამართლოდ დაუსახავთ არარატის მმართველებს აგრესიულ თავდამსხმელის როლში, სომხეთის შემავიწროებლად და სომხურ ტერიტორიის ძალად დამპყრობად: ყველაზე სადავო საკითხი სომხეთსა და აზერბაიჯანის შორის არის უმდიდრეს კუთხის—ყარაბახის საკითხი და ამის შესახებ აი რა უთქვამს პოლკოვნიკ ჰასკელს აზერბაიჯანის მთავრობაში: „...აუცილებელია, რომ ყარაბახი და ზანგეზური საბოლოოდ გადავიდეს აზერბაიჯანის მფლობელობაში და რაც შეეხება ნახიჩევანს, შარურს და დარალაგეზს—ისინი გამოცხადდებიან ნეიტრალურ ზონად"... ქვეყანა გამოაყრუეს სომხებმა აღნიშნულ პროვინციების გამო, ვის არ ემუდარებოდნენ შველას „სომხეთის ცეტადილის" დასახსნელად, მაგრამ თვით სომხეთისათვის საგანგებოდ გამოგზავნილი კომისარი ამ კუთხეებს აზერბაიჯანის კუთვნილებად სცნობს და სომხეთის პრეტენზიებს, მაშასადამე, უსაფუძვლოდ.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სადავო საკითხები და მით უმეტეს სახელმწიფო საზღვრების ამოხაზვისა შეთანხმებით გადაჭრილიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა ამ ხნობამდე მორიგებით. პირიქით, ახალ და სუსტმა სახელმწიფოებმა ბევრი სისხლი შეალიეს ამ გადაკვანძულ საკითხის გადაწყვეტას, ხოლო დღესაც გამოურკვეველია ამ სახელმწიფოთა მტკიცე მიჯნა და საზღვრები. როგორც ჩანს ანტანტი მოწადინებულია საზავო კონგრესის გადაწყვეტილებამდე საც მოაგვაროს დროებით მაინც საზღვრების საკითხი სამართლიან პრინციპით და პოლკოვნიკი ჰასკელის ცდაც ამის სწორი თავდებია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა საკითხები შეთანხმების სახელმწიფოთა პასუხისმგებელ წარმომადგენლებში შესაფერ გამოძახილს ჰპოვებენ და „გადახლართული გორდიის კვანძი" ეხლა მაინც ეღირსება გადაჭრას!

კომისარ ჰასკელის აზერბაიჯანში ჩასვლა და მისი ოფიციალური განცხადებანი ეჭვს არ ჰბადებენ იმაში, რომ პარიზის კონგრესს ამიერ-კავკასიის ახლად წარმოშობილ, თუ აღდგენილ სახელმწიფოთა საკითხის გადაწყვეტა დიდ პოლიტიკურ აქტად მიუჩნევია და კონგრესისა და სახელმწიფოთა ნდობით აღჭურვილ საგანგებოდ დანიშნულ პირებს ავალებენ აქ, ადგილობრივ შეისწავლონ საქმის ვითარება და ობიექტიურ მასალით წარსდგენენ საერთაშორისო ორგანოს წინაშე.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ხანა იწყება და დიდი ნიშნებია იმისა, რომ ანტანტის ყურადღებით და დახმარებით ვძლევთ წინ აღმართულ დაბრკოლებებს...

## სომხური პრესა

„ნორ აშხატავორი" (№ 180) ჩვენი შენიშვნების საპასუხოდ („საქართველოს" მე-186 ნომერში „ჰასკელი და სომხეთი" მეთაურის გამო) მოუთავსებია შემდეგი კომენტარია:

„საინტერესოა შეკითხვა გაზეთისა თუ ვინ იცავდა ისტორიულ დიდ საქართველოს ბამბაკამდე და სევანქამდე (გოქჩის ტბა) და ვინ მოითხოვდა მახვილით მათ დაჭერას? „საქართველოს" იდეოლოგები თუ დაშნაკელები?" სომხის მშრომელი ხალხი მუდამ ყოფილა სამართლიან მოთხოვნილებაზე დ. რჩება აქამდე იმავე თვალსაზრისზე და გარეშე ძალების საშუალებით ძალადობით არ ახორციელებს თავის იმპერიალისტურ სიზმრებს, როგორც ამას ჩვეული არიან „საქართველოს" ხელმძღვანელები"...

იმპერიალისტურ სიზმრებით უსათუოდ შეპყრობილი არიან ისინი, ვინც ლამობს მომკას იქ, სადაც არასოდეს უთესია... „ნორ-აშხატავორი" გვიკიჟინებს, რომ ჩვენ ვიცავდით საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, ხოლო საჭიროდ მიგვაჩნია განუცხადოთ გაზეთს, რომ შეგნებული ქართველობა დღესაც იზიარებს ამ თვალსაზრისს. „აშხატავორს" შეუძლიან იმპერიალიზმათ ჩასთვალოს ეს მოვლენა, მაგრამ მაშინ რა სახელი უწოდოთ დაშნაკელების ოთხივ კუთხით გაწევას სხვის მიწა-წყალზე?!

## საეკლესიო წრეებში

(მორწმუნეთა წრ. ხ. მოხსენების გამო)

ეს ერთი ხანია ჩვენი სასულიერო წოდების განსაზღვრული ნაწილი სასტიკ ოპოზიციაში ჩაუდგა ცენტრალურ საეკლესიო დაწესებულებებს და... თვით კათალიკოზსაც. უკმაყოფილო ელემენტს არაფერი მოსწონს საქართველოს განახლებულ ეკლესიის ყოფა ცხოვრებაში და ზოგი მათგანი ხმამაღლა გაიძახის „ეგზარხოსების დროის" უმჯობესობაზე ეხლანდელთან შედარებით.

ცნობილია, სამწუხაროდ, რომ არც ერთი ქართულ საზოგადოებრივ წრეში არასდროს ისე უსვავსად არ უჩენია თავი პირად ინტერესებს, გაუტანლობას, მოშურნეობას, შეტიჩრობას, როგორც სასულიერო უწყებაში. პათოლოგიურმა მოვლენამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა უკანასკნელ წლებში, როდესაც ქართველობას თავისუფლად ამოსუნთქვის შეძლება მიეცა. ნაცვლად იმისა, რომ გრძელი ხანაში, სოლიდარული მოქმედებით ხელი შეგვეწყო საქვეყნო საქმის ... დაგვერგვინებისათვის და აღდგენილ სახელმწიფოს აქტიურ წევრებად გამოსულიყავით, ჩვენში ბევრმა განახლება და განთავისუფლება ეგოისტური მიზნებისათვის გამოიყენა და საეკლესიო საქციელით საკმაოდ გამოამჟღავნა თავისი ზნეობრივი „სიუხვე". სასულიერო წოდების ერთ ნაწილს უკვალოქმნილი „პრიორიტეტი" ეკუთვნის საზოგადოების უმეტესობის საწინააღმდეგო მოქმედებაში.

ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ უგვანო მოვლენის „დასაბამის" გამოკვლევას:

# პოლტავაში

ქალაქში ნორმალური ცხოვრება ჯერ არ დაწყებულა. სასურსათო, სანიტარული და სხვა საკითხები ჯერ მოგვარებული არ არის.

პურის ფასი 40 მანეთამდე აღწევს გირვანქა 100 მანეთზე მეტი ღირს შაქარი იაფი ღირს.

სათბობ მასალის უქონლობა ადგილობრივ მცხოვრებლებს იძულებულ ხდის რომ რესტორანებიდან და სადილოებიდან წამოიღონ სადილი.

ქალაქში მძვინვარებს შავი სნეული.

# ოდესის ლაგის წინ

მარიამობისთვის 25-ს დილის 4 საათზე ინგლისელთა დიდი ფლოტილია მიუახლოვდა ლიუსტდორფს და დიდ ფონტანს. ჰიდროპლანების დაზვერვის შემდეგ გემებმა ყუმბარები ესროლეს რკინისგზის ახლოს სამხედრო საწყობებს. შემდეგ დილამდე მოხდა ქვეითი ჯარის გადასხმა, დილის 6 საათზე ინგლისელთა მოწინავე რაზმები ქალაქში შევიდნენ. მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით ხვდებოდა ჯარს.

გემებზე ოდესიდან მიჰქონდათ მრავალი საქონელი.

ინგლისის ჯარი, რომელიც ოდესაში შევიდა, სალონიკიდან და კონსტანტინოპოლიდან არის ჩამოსული. მას შესცვლის კავკასიიდან მომავალი ინგლისის ჯარი.

# ბოლშევიზმი ინგლისში

(მოკ. ცნობა)

ლონდონიდან მოსული ცნობით, სკოტლანდ იარდმა დაიჭირა მიწერ-მოწერა, საიდანაც სჩანს, რომ ქ. ახტომში მოწყობილი იყო ცენტრი ინგლისში ბოლშევიზმის გავრცელებისთვის.

# ყირიმის დირექტორიის ლიკვიდაცია.

ბრძანებისა თანახმად დენიკინის ყირიმის მაჰმადიანთა დირექტორიის, როგორც არა კანონიერად შედგენილის, ლიკვიდაცია მოხდა. ამის შესახებ ბრძანებაში მოხალისეთა მთავარსარდალი ამბობს: „ვაპირობდა ვსთვლი მაჰმადიან მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ამ ორგანიზაციათა აღდგენასთან ერთად მე შეუდგები თქვენ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან ერთად თქვენი სარწმუნოებრივი საქმეების გამგებლობის ახალ წესების შემუშავებას, რაც ავტონომიურ პრინციპზე დაეყრდნობა.

# გენ. ბოსსას გარდაცვალება

„საქართველოს“ ცნობა.

(ინგ. მისიის დეპ.)

გენ. ბოსსა (ბოთი) ცნობილი 1900 წლ. ომების დროს გარდაიცვალა. ამის დროს ის ინგლისის ჯარში მსახურობდა და ცნობილი იყო როგორც კარგი დიპლომატი. ბოსსა პრეტორიაში გარდაიცვალა

# პაპი ბენედიქტ XV საქართველოს შესახებ

კონსტანტინეპოლში მყოფმა პაპის ნუნციომ (ელჩმა) წერილობით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის იქაურ წარმომადგენელს, სადაც ის გამოსთქვამს რა პაპის სახელით მწუხარებას საქართველოს კათალიკოსის კირიონ II-ის გარდაცვალების გამო, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „მე ბედნიერი ვარ რომ შესაძლებლობა მაქვს დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მისი უწმინდესობა პაპი თანაუგრძნობს თქვენი სამშობლოს საქმეს და მის მომავალს. ის გაუკეთებს ყველაფერს, რასაც ნებას მისცემს მას ღვთის განგება, რომ კეთილშობილმა ქართველმა ხალხმა, რისთვისაც ის მოუწოდებს მის ზეციურ კურთხევისათვის, განახორციელოს მთლიანად თავისი კანონიერი სამოქალაქო და რელიგიური სურვილები“.

(„ერი“)

# ჰაეროპლან „გოლიათის“ ბედი

(ინგლ. რადიო)

16 აგვისტოს დაახლოვებით დილის 7 საათზე, „გოლიათი“ ... რამდენიმე ასი მეტრის სიშორეზე ძირს დაშვებულა. იქ ადგილობრივ მცხოვრებნი ძალიან ცოტანი არიან და მგზავრებს, რასაკვირველია, არც კი უფიქრიათ მოეხმარათ ..., რომელიც მათ თან ჰქონდათ ყველ შემთხვევისთვის. პირიქით, მათ კარგად შეხვდნენ. დაუყონებლივ შიკრიკი გაუგზავნიათ სანლუიში. შიკრიკი აგვ. 22 დაბრუნდა უკან. 6 დღეში გაიარა 340 მეტრის სიგრძე გზა და უკან დაბრუნდა რითაც მან ფეხით სიარულის ახალ რეკორდს მიაღწია. „გოლიათის“ მგზავრები ჯერჯერობით სანლუიში დარჩებიან ვიდრე საჭირო პროპელერს მოიტანენ: მაშინ „გოლიათ“-ს შეეძლება განაგრძოს მგზავრობა დაკარტში.

# ბელგია და საფრანგეთი

(ინგ. რადიო)

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი ემაუნა კლემანსოსა და პიშონს, ამ საკითხის შესახებ ჯერ არ არის არავითარი ოფიციალური ცნობა. ჰფიქრობენ, რომ საუბარი შეეხებოდა ეკონომიურ პრობლემებს და ლუქსემბურგის საკითხს, რომლითაც ძალიან არის დაინტერესებული როგორც საფრანგეთი, ისე ბელგია. ორივე სახელმწიფო სცდილობს, ეს საკითხი მალე გადასწყდეს და საფუძველი აქვთ იმედი ჰქონდეთ, რომ შეთანხმება მალე მოხდება.

# გერმანიის-ახალშენების ბედი

(ინგ. რადიო)

საზავო კონფერენცია აპირებს გერმანიის ყველა ახალშენები აღმოსავლეთის აფრიკაში ინგლისს გადასცეს. მადლობის ნიშნით ინგლისი ბელგიას უთმობს აფრიკის ახალშენების უნაყოფიერეს ადგილს 3 მილიონი მცხოვრებლებით.

# მოკავშირეთა მისიის ცნობები.

მარიამობისთვის 31.

**ქვანახშირის კრიზისი.**

ბერლინიდან მოსულ ცნობებით ქვანახშირის უქონლობის გამო მატარებელთა რიცხვი კიდევ მცირდება. სწრაფი მატარებლები, რომლებიც პირველ თიბათვიდან შესილეს, ამავე მიზეზით გერმანიის რკინისგზებზე უქმდება სასადილო ვაგონები და საწოლი ადგილები ვაგონებში.

**სერბეთის კაბინეთი.**

სერბეთის ყოფილი სახალხო განათლების მინისტრ დავიდოვიჩმა, რომელსაც დაევალა ახალ კაბინეთის შედგენა, განაცხადა, რომ მისი მიზანია კონცენტრაციული მთავრობის შექმნა. თუ ამას ვერ შესძლებს მაშინ კოალიციურ მთავრობას მაინც შექმნის, რომელშიც არ შეიყვანს რადიკალებს, მისი აზრით ასეთ კაბინეტს სკუპშჩინაში უმეტესობა ექნება დაუჯერს.

**უზარმაზარი რადიო სადგური.**

ბორდოს სანახებში ააშენეს უმაღლესი ტელეგრაფის უზარმაზარი სადგური. ახალი სადგური ეიფელის სადგურზე 5 ჯერ უძლიერესია, მისი ძალა 3 ჯერ მეტია ვიდრე ლიონის სადგურისა და 2 ჯერ აღემატება ნაუენის რადიო სადგურის ძალას. მის საჰაერო ტალღათა ტოკვა ვრცელდება 20.000 კილომეტრზე. ახალი სადგური დღეში 72.000 სიტყვის გადაცემას შესძლებს.

**რუსი ტყვეები.**

უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა რუსი სამხედრო ტყვეთა მდგომარეობა გერმანიაში და დაადგინა, რომ მიუხედავად, იმისა რომ მათი რუსეთში დაბრუნება ბოლშევიკურ ჯარს მხოლოდ გაზრდის, მაინც გერმანიაში მათი დატოვება შეუძლებელია. ტყვეები დაუყონებლივ უნდა გადასხან იქ სადაც ამას საფრანგეთის მთავრობა სცნობს საჭიროდ.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

მარიამობისთვის 30.

## იტალია

**შრომის საერთაშორისო გამოფენა**

სააგენტოს ცნობით, რომში შესდგა 1920 წ. შრომის საერთაშორისო გამოფენის მომწყობი კომიტეტი.

**გაფიცვის შეწყვეტა**

შესწყდა სტამბის მუშათა გაფიცვა, რომელიც 50 დღეს გაგრძელდა.

**ტარიფის შეცვლა**

შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც ტარიფის შეცვლა აქვს დაკისრებული.

**იტალიის მოთხოვნილება**

პარიზის კონფერენციაზე ტიტტონიმ მოითხოვა, რომ იტალიას გადაეცეს დაპყრობილი ოლქებში იმ შენობების ფულებიო, რომელთა გეგმები უკვე ჰქონდათ შედგენილი ავსტრიელ ინჟინერებს.

**ხელშეკრულება ყოფილ ავსტრიის სახელმწიფოთა შორის**

კონფერენციამ გამოარკვია, რომ ყოფილ ავსტრიის უნგრეთის ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულება, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი არ აქვს.

**ავსტრიის ხელშეკრულობის პირობები**

საზავო კონფერენციამ საბოლოოდ შეიმუშავა ავსტრიის საზავო ხელშეკრულობის პირობები ნავთსადგურების, წყლის და რკინის გზების შესახებ.

**ხელშეკრულების დადასტურების ვადა.**

„ეკო პარიზიენი“ ირწმუნება, რომ საზავო ხელშეკრულება სექტემბრის 10 მდე არ იქნება დადასტურებული.

**იტალიის ჯარი ავსტრიაში.**

ვენის გაზეთები აქებენ იტალიის ჯარის კაცებს, რომელნიც თავდაჭერილად იქცევიან.

**არზრუმის ყრილობა.**

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ამას წინად არზრუმში მოხდა სეპარატისტების კონგრესი, რომელსაც მცირე აზიაში აჯანყების მომწყობი მუსტაფა ქემალ-ფაშა თავმჯდომარეობდა. კონგრესზე იმსჯელეს იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქნეს მიღებული, თუ ოსმალეთის დაყოფა მოინდომეს.

**იტალიის ჯარმა ფიუმე დასტოვა**

იტალიის ჯარმა ფიუმე მიატოვა. მცხოვრებლებმა ჯარს ოვაციები გაუმართეს. იტალიის ჯარის მაგიერ შევა იმდენივე ჯარი ინგლისისა და საფრანგეთისა.

**სამინისტროს კრიზისი უნგრეთში.**

ციურიხიდან მოსულ ცნობების თანახმად, ბუდაპეშტში სამინისტრო კრიზისი გრძელდება. მოხდა მოკავშირეთა კომისიის სხდომა პარტიათა ლიდერების თანდასწრებით, რომლებმაც წინადადება მისცეს, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მიენდოს 3 პირისაგან შემდგარ დელეგაციას, რომელშიაც შევა თითო წარმომადგენელი: მიწათმოქმედთაგან, მემამულეთაგან და მუშებისაგან.

**იტალიის გემები შავ ზღვაზე.**

ტრიენტინის საზღვაო საზოგადოებამ ამ დღეებში მიმოსვლის სამინისტროსაგან რამდენიმე გემი მიიღო, ისე რომ მოკლე ხანში მოეწყობა საზღვაო მიმოსვლა სტამბოლისა და შავ ზღვამდე, რაც ძალიან შეუწყობს ხელს ტრიესტის ვაჭრობას.

**იტალია და პოლონეთი**

რომიდან გუშინ ძღვენი სალამი და სურვილები გაეგზავნა პოლონეთს საჰაერო რიგით რომელიც 6 საათში გადაფრინდება პოლონეთში.

**რომიდან იაპონიაში გადაფრენა**

შანხაიში წავიდა გემი „ნაიტგიპ,“ ჰაეროპლანების ანგარის სრული მოწყობილებით, მასალით და სურსათით იმ მიზნით, რომ გზაში ხელი შეუწყოს რომიდან ტოკიოში გადაფრენას, რომელიც ახლო მომავალშია განზრახული. ეს გემი სპარსეთის ყურეზე გაივლის, გზა და გზა შანხაიმდე მოაწყობს პოსტებს ჰაეროპლანის დასაშვებად და მასალა სურსათის მისაწვდენად მფრინავთა სადგომებს მოაწყობს და მექანიკოსებს მოამზადებს.

**იტალიის მიწადმოქმედთა საზოგადოებაში**

იტალიის მიწის მოქმედთა საზოგადოებამ მთავრობას წარუდგინა პროექტი იმ ზომებისა, რომელიც საჭიროა იტალიაში სხვა და სხვა ნაირ წარმოების წინ წახალისებლად, რათა შემდეგში იტალიამ თვითონვე შესძლოს საჭირო რაოდენობის პურის მოყვანა.

**ლაშქრის პური მცხოვრებთათვის**

სიძვირის მოსპობის მიზნით ამერიკის სამხედრო სამინისტრო აპირებს მიყიდოს ლაშქრის ზედმეტი პური.

**შეერთ. შტატები და მექსიკა.**

ამერიკული პრესა იუწყება, რომ შეერთებული შტატები მექსიკის საკითხის გადაწყვეტაში ჩარევას აპირებს. სამხედრო და სამოქალაქო ზომები უკვე მიღებულია.

**სამხედრო ტყვეები**

რომიდან იუწყებიან: იტალიის მთავრობა მოკავშირეებს შეუთანხმდა, რომ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას ეკისრებოდეს მეორე ნახევრიდან შეუდგნენ.

**ამერიკელი კადეტები იტალიაში.**

ამერიკელ კადეტების და სხვა მოხელეებისათვის რომის სამხედრო სასწავლებლებში გამართულ საუბრებს დაესწრნენ: ნიტტი, დიაცი, ალბრიჩი და სხვ. გენერლებმა ერთმანეთისადმი მხურვალე სურვილები გამოსთქვეს. ალბრიჩმა იტალიის მთავრობის სახელით სადღეგრძელო სთქვა, ხოლო პოლკ. ვენტიმ როგორც ამერიკელ კადეტთა უფროსმა.

**იტალიელნი კლაგენფურტში.**

კლაგენფურტიდან იუწყებიან: ერთი გაზეთი აცხადებს, რომ იტალიელებს ისე უყურებენ როგორც სილარიბისა და უბედურებისაგან მხსნელებს.

**საზავო კონფერენციის უკმაყოფილება**

საზავო კონფერენციამ რუმინიას უკმაყოფილება გამოუთქვა უნგრეთში მომხდარ რეკვიზიციების, მოხდენის გამო და ამასთანავე აფრთხილებს, რომ თუ ეს გაგრძელდა, ამას რუმინიისთვის დიდი შედეგები მოჰყვება.

**იტალიის საჰაერო ფლოტის საქმე**

ზემოთ საზოგადოებათა წარმომადგენლები მიმოსვლის სამინისტროში მიიწვიეს, იტალიის საჰაერო ფლოტის გაძლიერების საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მათ დაპირდნენ დიდ ფინანსიურ დახმარებას.

**შეტაკებანი ელზასში**

ელზასში გრძელდება შეტაკებები ფრანგ ჯარის კაცთა და გერმანელთა ენაზე მოლაპარაკე მცხოვრებლებთა შორის.

**საფრანგეთის ჯარი შლეზვიგში**

(დასაწყისი არ მიღებულა). რამდენიმე ხნის წინად დანიის მცხოვრებლებმა მოითხოვეს, რაც შეიძლება საჩქაროდ გაგზავნონ ჩრდილოეთ შლეზვიგში სამხედრო გემი. საფრანგეთის მთავრობამ ეს დაავალა სამხედრო კრეისერ „ლა მარსელიეზს“, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც კოპენჰაგენში მოვიდა. გერმანიის სამხედრო ადმირალმა უარით უპასუხა 24 აგვ. მიღებულ განცხადებაზე საფრანგეთის კრეისერის მოსვლის შესახებ, და აღნიშნა, რომ ამგვარი გამოსვლა დროებითი ზავის პირობებში არ ყოფილა ნაგულისხმევი. მაგრამ მიუხედავად კოპენჰაგენში მყოფ გერმანიის ელჩის უარისა და განმეორებულ პროტესტისა, „ლა მარსელიეზ“ 24 აგვ. გერმანელების ნებადაურთველად აპენრადეში მოვიდა. რამდენიმე ფრანგი ოფიცერი ნაპირზე გადმოვიდა და დანიის ყრილობის შენობაში მოვიდა. კრეისერზე მიიღეს დანიის მოქალაქეთა დელეგატები, რომელთაც მადლობა გამოუცხადეს ფრანგებს. დანიის ტერიტორიაზე მყოფ ზოგიერთ სახლებზე დროშები აღმართეს. 26 აგვ. „ლა-მარსელიეზი“ ფლენსბურგისაკენ გაემართა, აქედან ცოტა ხნის შემდეგ ზონდერბურგით კოპენჰაგენში დაბრუნდა. დროებითი ზავის გერმანიის საზღვაო კომისიამ 26 აგვისტოს მიმართა მოკავშირეებს პროტესტით და მოითხოვა კრეისერის უკან გაბრუნება. გერმანიის ხალხის თავდაჭერილობის წყალობით არავითარი ინციდენტი არ ყოფილა საფრანგეთის კრეისერის მოსვლის დროს, რომელიც არბიტრად მოვიდა. ამავე დროს კრეისერმა ოთხი დღე დაჰყო ფლენსბურგის ნავთსადგურში, და შემდეგ ზღვაში გავიდა.

# ინგლისური პრესა.

**ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა**

მიუხედავად ბოლშევიკების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებათა ლონდონის გავლენიან პირთა სიტყვით, რუსეთში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია ბოლშევიკების მოწინააღმდეგეთათვის. ბოლშევიკების წინააღმდეგ ... გრძელდება და უკანასკნელ კვირეებში გაძლიერდა კიდევაც. ესტლანდიის ფრონტზე წინსვლა შეჩერებულია პსკოვის სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოტევის გამო. პოლონელების მარცხენა ფრთა დვინსკის წინ მიიწევს. ბოლშევიკები იძულებული არიან მდ. დვინის პირისკენ უკან დაიხიონ პლოცკის ახლო. ამხაირად დვინსკის სამხრეთით ბოლშევიკების წინ წამოწეულ ფრონტს საფრთხე მოელის. ალბად ბოლშევიკები იძულებული იქნებიან უკან დაიხიონ დვინის ჩრდილოეთის ნაპირის მთელ ფრონტზე. ოდესის ბედი აგვ. 24 გადასწყდა. ის ბოლშევიკებს დაატოვებინეს. სწორედ აგრეთვე, შავი ზღვის მთელი სანაპიროც ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ძალთა ხელშია. საბჭოთა მთავრობამ დაკარგა დასაყრდნობი ადგილი შავ ზღვაზე და ამასთანავე ქვეყნიერობასთან ურთიერთობის საშუალებაც. დენიკინის ცხენოსანი ჯარი და ჯავშნიანი მატარებელი მთელ დასავლეთის ფრონტზე დიდ მანძილზე წინ მიიწევს. მის მთავარ ძალებს წინ არა ხვდება არავითარი წინააღმდეგობა და არც ბოლშევიკების რეგულიარული ჯარი.

**უმაღლესი საბჭო და ავსტრ. ხელშეკრულება**

უმაღლესი საბჭო ოთხშაბათს განაგრძობდა ავსტრიის კონტრ წინადადებათა პასუხის განხილვას და შესდგა ყველაზე სადავო მუხლებზე ეკონომიურ პირობების და ავსტრია ჩეხიის, ავსტრია-იტალიის და ავსტრია-სერბიის საზღვრების შესახებ. რამდენიმე დღე კიდევ მოუნდება ამის განხილვას და მაშინ შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების მოწერა.

**ხელშეკრულება დეპუტატთა პალატაში**

ოთხშაბათს დეპუტატთა პალატა განაგრძობდა საზავო ხელშეკრულების განხილვას. გერმანიის საზღვრების და პოლიტიკურ პირობების შესახებ მომხსენებელმა შარლ ბენუამ განაცხადა, რომ ვერსალის მეორე ხელშეკრულება პირველი გააბათილა, რადგანაც საფრანგეთმა დაიბრუნა ელზას ლორენი, რომელიც ძალით მოგლიჯეს საფრანგეთს. მაგრამ ეს ხელშეკრულება უნაკლო არ არის და შეიძლება მისი კრიტიკა თავის თავად.

# ფრანგული პრესა

**რეინის საზღვრად.**

ისტორიულ საბუთების საფუძველზე ბენუა ამტკიცებს, რომ რეინი უნდა იყოს სამხედრო საზღვრადაც და არა მარტო პოლიტიკურ საზღვრად. ბენუამ აღძრა აგრეთვე საკითხი რეინის მარცხენა ნაპირის შესახებ, გაიხსენია ახლად შემდგარი სახელმწიფოები მოუწოდა, მზად იყოს და იზრუნოს, რომ ოთხი დიდი სახელმწიფოს კავშირი ნამდვილად მტკიცე იყოს.

**კლემანსოს ნოტა.**

საზავო კონფერენციის თავმჯდომარემ კლემანსომ ხუთშაბათს ტრიანონში ბარონ ფონ ლერსნერს გაუგზავნა საკმაოდ დიდი ნოტა. ეს პირველი შემთხვევაა რომ კლემანსო პირდაპირ მიჰმართავს ასეთი საშუალებით გერმანიის დელეგაციას. ჰფიქრობენ, რომ ნოტა ეხება იმ სამხედრო საკითხებს, რომელსაც ბარონი ლერსნერი განიხილავს და შემდეგ უმაღლესი საბჭო. ხუთშაბათს შესდგა რკ. გზ. მასალათა კომისიის სხდომა, რომელსაც დაესწრო ინგლისის 2 წარმომადგენელი ლონდონიდან.

**ხელშეკრულების დამტკიცების ვადა.**

ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ ვილსონთან საუბრის შემდეგ სენატორმა გიჩმა განაცხადა, რომ მისი აზრით საზავო ხელშეკრულების დამტკიცება და აგრეთვე შანდუნის და საზღვრების საკითხების განხილვა ოქტომბერში მოხდება.

# ბოლშევიკური ცნობები

**ინგლისის ჯარის დაბრუნება.**

**ვოლოგდა**, აგვ. 28. გადმოსულები გადმოგვცემენ, რომ ინგლისის ჯარის ზოგიერთი ნაწილი უკვე მიდის არხანგელის ფრონტიდან. სექტემბერში ინგლისის ჯარი ერთიანად დაბრუნდება სამშობლოში.

**ლუდენდორფის მოგონება.**

**პარიზი**, აგვ. 29. „ფრი ცაიტუ“-ი მკაცრად აკრიტიკებს გენ. ლუდენდორფის „მოგონებებს“. ლუდენდორფი მხოლოდ ციფრებს ემყარება, და მას აინტერესებს ხალხის მხოლოდ რაოდენობა, სწორედ ისე, როგორც ზარბაზნების რაოდენობა, ემყარებოდა, რა მხოლოდ ხალხის დიდ რიცხვს; მას სურდა ომის მოგება და ხალხს კი მხედველობაში არ ღებულობდა. ლუდენდორფი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს დაღუპვა მხოლოდ რიცხვების გამოანგარიშების, დროს დაშვებული შეცდომის შედეგი, ამ მოგონებებიდან ისეთი დასკვნა გამოდის, რომ ომის პირველ დღეებიდანვე გერმანიის ბედი დამოკიდებული იყო გერმანიის ჯარის მოკავშირეთა ჯარზე რიცხვითი უმეტესობაზე

**მოხკვი.** ასე იყო 1918 წ. მარტამდე, მაგრამ როგორც კი გერმანიის დამარცხება აშკარა გახდა; იმ დღიდან თვითეულ მოკლულ კაცის დასახიჩრებულ მხედრის განადგურებულ სახლის და გაძარცულ ქარხნის პასუხის-მგებლობა გენ. ლუდენდორფს ეკისრება. გერმანიის ხალხის ბედი კიდევ რომ ლუდენდორფის გეგმა ოქტომბრის რევოლიუციამ გაანადგურა, რადგან ის აპირებდა უკან დახევას იმ დროს სისტემატიურად გაენადგურებინა ქალაქები, სოფლები, ქარხნები, რკინის გზები და გზატკეცილები.

**შეთანხმება ამერიკა-საფრანგეთს შორის.**

**ლიონი**, აგვისტოს 28. ჰავასის სააგენტოს ვაშინგტონიდან დეპეშით აუწყებენ, რომ სენატის იურიდიულმა კომისარმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთს დახმარება უნდა გაუწიოს, თუ მას გერმანია დაესხა.

**ჰოლანდიური პრესა გერმანიაზე**

**ნაუენი**, აგვისტოს 27. გერმანიის მოწინააღმდეგე ჰოლანდიური გაზეთი სწერს: თუ გერმანია ზემო სილეზიაში მომავალშიაც განაგრძო თავისი პოზიცია და ძალა-უფლება ნოსკეს ხელში დარჩა მოკავშირეებს აღარ ექნებათ სამხედრო ჩარევის საბუთი.

**ფოსტა-ტელეგრაფის მოს. ყრილობა**

**ნაუენი**, აგვისტოს 28. ჰამბურგში ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ დაადგინა ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს მოთხოვნილებები წარუდგინოს ჯამაგირების მომატების ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სამსახურში მყოფად აღიარების და ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოსთან დეპუტატთა საბჭოს მოწვევის შესახებ. ბუდაპეშტში გაიმართა ანტი სემიტური მანიფესტაცია, რომლის წინაც ქრისტიან სოციალისტების და ნაციონალისტების მიტინგი მოხდა. მანიფესტანტებმა მოკავშირეთა მისიას გაუგზავნა დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა, რომ სამინისტროში ებრაელები არ დაუშვან. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ სამშაბათს შესდგა ახალი პარტია, რომელშიაც ქრისტიან მომხრეთა ერთი ნაწილი შედის და იმედი აქვთ, რომ ამ პარტიას დემოკრატებიც მიემხრობიან. პარტიის სათავეში უდგას ყოფილი სასურსათო მინისტრი ერნესტ ვოლგი.

**მოკავშირენი და რუმინეთი.**

**ლიონი**, აგვ. 28. (ამერიკელი რადიო). უნგრეთში მოკავშირეთა საქციელით გამოწვეული აღშფოთება იქამდე მივიდა, რომ კონფერენციამ ერთი ნოტით კიდევ გააფრთხილა რუმინია. სერბიაში შექმნილი მდგომარეობაც აფიქრებს ვილსონს. აღმოსავლეთ ფრიკიის, ადრიატიკის ზღვის და სირიის საკითხი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მოკავშირეებთან დამოკიდებულება ყოველ დღე მწვავდება. საზავო კონფერენცია თანდათან უფრო კარგავს ძალას. პარიზის წრეებს ძალიან აღელვებს ინგლისისა და საფრანგეთის გათიშვა, რომელიც თანდათან ძლიერდება.

**ციმბირში.**

**ტიუმენი**, აგვ. 28. გუშინ ვლადივოსტოკიდან მოვიდა რ. კ. პარტიის პერმის ორგანიზაციის წევრი. ის ერთ წელიწადზე მეტი იყო ციმბირში და მრავალ საინტერესო ცნობებს იძლევა. მისი სიტყვით, ციმბირში აჯანყებაა. ერთ ადგილას რომ ჩააქრობენ მეორე ადგილზე ახალი აჯანყება იწყება. მუშები და გლეხები წითლების მხარეზე არიან. რკინის გზელებიც თეთრებით უკმაყოფილონი არიან. ამურის გზა წელიწადზე მეტია, რაც არ მოქმედებს. უსურიის გზაზე მუდამ გაფიცვებია. სოფლები და დაბები თეთრების წინააღდეგ აჯანყებულან. ვლადივოსტოკიდან 15 ვერსზე გლეხებმა იქ მდგარი იაპონელთა რაზმი გაანადგურეს. ინგლისის, კანადის და იაპონიის ჯარი ვლადივოსტოკიდან გავიდა. ეხლა იმყოფებიან კადრის ოფიცრები რომლებიც დროს ქეიფში ატარებენ. მცხოვრებლები ამ პირის დროს ქეიფს ცუდათ უყურებს. აგვისტოს 7 ომსკის დასაცლელად ემზადებოდნენ. იქ უნტერ-ოფიცრებისგან 2 პოლკი შეადგინეს. ეს კოლჩაკის მთავარი ძალაა, რადგან ყველა კადრის ოფიცრები ირკუტსკს, ვლადივოსტოკსა და ხარბინში იმყოფებიან. მოწინააღმდეგე ემზადება ომსკთან ბრძოლისთვის, უკიდურეს შემთხვევაში კი ყველ ზე მეტად გამაგრებულ ნოვონიკოლაევსკასთან. კოლჩაკის ჯარის 3 მეოთხედი წითლების მხარეზეა. თეთრ-გვარდიელები და ბურჟუები ომსკში აღარ მოდიან ჯგუფებით, რადგან აჯანყებული გლეხები მათ სროლას უტეხავენ. აგვისტოს 6. კოლჩაკი ომსკიდან ტიუმენში გაემგზავრა, მაგრამ გზაში მიიღო ცნობა წითლების წინსვლის შესახებ და უკან გაბრუნდა.

**№-ის არმიის შტაბი.** აგვ. 28. თეთრების მიერ დაპყრობილ ადგილებში დენიკინის ოფიცრები მღვდლებისაგან მოითხოვენ, რომ მათ უჩვენონ კომუნისტების და მოხალისე წითელ არმიელთა ოჯახები. მღვდლების ჩვენებით ოფიცრები ოჯახებს ხვრეტენ.

# ქართველ კათოლიკეთა გადაგვარება

(პაპის ნუნციონის ჩამოსვლის გამო საქართველოში)

I

ქართველი კათოლიკეთა არსებობა გიორგი ბრწყინვალის დროიდანვე იქმნა აღიარებული.

მართალია, მათ არსებობას დიდი საფრთხე ელოდებოდა მუდამ, უმეტესად სომხობისაგან, მაგრამ იგინი ვერას ხდებოდნენ და ქართველი კათოლიკობა ჰქმნიდა თავის ისტორიას და ტრადიციას.

